

შპს მირა

საიდენტიფიკაციო კოდი: 202 218 698

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო

წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	14
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	16
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	18
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	19
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მირას“ (ს/კ 202 218 698) დამფუძნებელს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მირას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში -

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მირას“ (ს/კ 202 218 698) დამფუძნებელს.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მირას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში -

3 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 26 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2022 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი

„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია¹

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2022 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე (სხვა ინფორმაციაზე) გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი

4 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13-დან 26 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



Independent member
Morison Global

უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული

უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული

5 | P a g e

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13 დან 26 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



Independent member
Morison Global

აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასე-ეხის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზრულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.



- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის ხელმძღვანელობას სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი

- დასკვნა გამოგვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის ხელმძღვანელობას სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი

7 | Page
თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13 დან 26 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს რატი ბაკაშვილი, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-859169.

რატი ბაკაშვილი

აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global“-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

29 მარტი, 2024 წელი

ქ. თბილისი, საქართველო



უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს რატი ბაკაშვილი, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-859169.

რატი ბაკაშვილი

აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global“-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში
რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

29 მარტი, 2024 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

8 | Page

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 13 და 26 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

(+995 32) 2 399 112 (+995 32) 2 399 113
contact@bakashviliandco.com
SARAS - F - 887264

0177 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47, Al Kazbegi Ave. fl. 10, 0177 Tbilisi, Georgia
bakashviliandco.com



Independent member
Morison Global

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,037	3,452
არამატერიალური აქტივები	-	29	34
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	2	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,066	3,486
მიმდინარე აქტივები			
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	6	6,039	8,421
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	-	58	7
საგადასახადო აქტივები	7	497	887
მარაგები	5	13,627	17,067
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	9,260	5,696
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	865	1,088
სულ მიმდინარე აქტივები		30,346	33,166
მთლიანი აქტივები		33,412	36,652
მფლობელთა საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	-	30,561	31,198
მფლობელთა საწესდებო კაპიტალი	12	2	2
სულ მფლობელთა კაპიტალი		30,563	31,200
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	735	1,205
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		735	1,205
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	49	276
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	11	1,715	2,149
მიღებული ავანსები	-	350	1,822
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,114	4,247
სულ ვალდებულებები		2,849	5,452
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,412	36,652

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 29 მარტს.

დირექტორი : ზაზა ნიორაძე

მთავარი ბუღალტერი : ინგა გვარამია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,037	3,452
არამატერიალური აქტივები	-	29	34
ინვესტიცია შვედეთში	2	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,066	3,486
მიმდინარე აქტივები			
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	6	6,039	8,421
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	-	58	7
საგადასახადო აქტივები	7	497	887
მარაგები	5	13,627	17,067
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	9,260	5,696
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	865	1,088
სულ მიმდინარე აქტივები		30,346	33,166
მთლიანი აქტივები		33,412	36,652
მფლობელთა საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	-	30,561	31,198
მფლობელთა საწესდებო კაპიტალი	12	2	2
სულ მფლობელთა კაპიტალი		30,563	31,200
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	11	735	1,205
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		735	1,205
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	49	276
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	11	1,715	2,149
მიღებული ავანსები	-	350	1,822
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,114	4,247
სულ ვალდებულებები		2,849	5,452
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,412	36,652

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 29 მარტს.

დირექტორი : ზაზა ნიორაძე

მთავარი ბუღალტერი : ინგა გვარამია



(Handwritten signature)
 ვ. გ. გვარამია

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	13	23,937	22,232
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(19,368)	(15,728)
საერთო მოგება		4,569	6,504
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	15	(3,496)	(3,564)
გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი	-	(55)	(41)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		1,018	2,899
ფინანსური შემოსავალი	16	2,867	2,704
ფინანსური ხარჯი	16	(1,528)	(627)
არასაოპერაციო შემოსავალი	17	5,900	2,213
არასაოპერაციო ხარჯი	-	(42)	(251)
არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		7,197	4,039
მოგება დაბეგვრამდე		8,215	6,938
მოგების გადასახადის ხარჯი	18	(1,280)	(1,006)
წმინდა მოგება		6,935	5,932
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
სულ სრული შემოსავალი		6,935	5,932

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:		2	30,968	30,970
წმინდა მოგება		-	5,932	5,932
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
დივიდენდი	18	-	(5,702)	(5,702)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:		2	31,198	31,200
წმინდა მოგება		-	6,935	6,935
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
დივიდენდი	18	-	(7,572)	(7,572)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:		2	30,561	30,563

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>შენიშვნა</i>	31.12.2022	31.12.2021
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		24,520	31,217
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(15,466)	(22,057)
სხვა ხარჯები		(71)	(63)
<i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები</i>		8,983	9,097
გადახდილი პროცენტი		(239)	(157)
საგადასახადო გადასახდელები		(6,096)	(6,154)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		2,648	2,786
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		-	(158)
მიღებული დივიდენდი	17	4,897	2,136
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		4,897	1,978
<i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>			
გაცემული დივიდენდი		(7,193)	(5,417)
სესხის აღება		1,351	3,136
გაცემული სესხი		(68)	-
გასავალი სესხის დასაფარად		(2,009)	(2,859)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>		(7,919)	(5,140)
<i>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ზრდა</i>		(374)	(376)
კურსთა შორის სხვაობა		151	(6)
<i>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ზრდა</i>		(223)	(382)
<i>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში:</i>		1,088	1,470
<i>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს:</i>		865	1,088

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მირა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2004 წლის 14 იანვარს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, წერეთლის გამზირი N 126. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 2/4-3698 და საიდენტიფიკაციო კოდი: 202 218 698.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეთა სტრუქტურა ასეთია:

მესაკუთრეები

	31.12.2022	31.12.2021
ნურეთთინ ჯენგიზ (პ/ნ TR-U N 695149), თურქეთის მოქალაქე	50 %	50 %
მიხეილ დავითაძე (პ/ნ 61002000605), საქართველოს მოქალაქე	20 %	20 %
რამინ დავითაძე (01008020929), საქართველოს მოქალაქე	20 %	20 %
ნუგზარ დავითაძე (12001010508), საქართველოს მოქალაქე	10 %	10 %

კომპანიის დირექტორია ზაზა ნიორაძე (პ/ნ 54001003889).

კომპანიის მეკავშირე საწარმოა შპს „ალფა რეზიდენსი“ (ს/კ 405 195 854), რომელიც დაარსდა 2017 წლის 16 მარტს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომ „მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

ამონაგების აღიარება. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან

მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოში მოქმედი რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა - ნაგებობები	5-დან 20 წლამდე
მანქანა - დანადგარები	5-დან 20 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	2-დან 10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-დან 10 წლამდე

თუ არ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, როდესაც ნულს უტოლდება, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მარაგების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალი-

ზაციო ფასს. თუ მარაგების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო და სხვა ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

მეკავშირე საწარმო. ისეთი საწარმოა, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრებები შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. კომპანიის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით.

კაპიტალ-მეთოდის ფარგლებში, შვილობილ საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კორექტირდება, რომ ასახოს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში კომპანიის მიერ ფლობილ ნეტო აქტივებში შეძენის თარიღიდან მომხდარი ცვლილებები.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ასახავს მეკავშირე საწარმოს ოპერაციების შედეგებში კომპანიის წილს. ამგვარი საინვესტიციო ობიექტების სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი ცვლილება წარმოდგენილია კომპანიის სხვა სრული შემოსავლის ნაწილის სახით. ამასთან, როდესაც მეკავშირე საწარმოს კაპიტალში პირდაპირ არის აღიარებული ცვლილება, კომპანიის ნებისმიერ ცვლილებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მის წილს აღიარებს კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. კომპანიასა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აღმოიფხვრება, მეკავშირე საწარმოში კომპანიის წილის შესაბამისად.

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იგივე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც წარმოდგენილია კომპანიის ანგარიშგებაში.

კაპიტალ-მეთოდის გამოყენების შემდეგ, ჯგუფი განსაზღვრავს საჭიროა თუ არა გაუფასურების ზარალის აღიარება მის მეკავშირე საწარმოში არსებულ ინვესტიციაზე. თითოეულ საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია გაუფასურებულია. თუ არსებობს ამგვარი მტკიცებულება, ჯგუფი გაუფასურების ოდენობას ანგარიშობს მეკავშირე საწარმოს ანაზღაურებად ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის განსხვავების სახით და შემდეგ ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში მეკავშირე საწარმოს მოგების წილში.

მეკავშირე საწარმოზე მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის შემთხვევაში, კომპანია ახდენს გაუნაწილებელი ინვესტიციის შეფასებას და აღიარებას რეალური ღირებულებით. მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის მომენტისთვის მეკავშირე საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და გაუნაწილებელი ინვესტიციისა და გასვლის შემოსავლის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

3. სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები,

რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიკურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31.12.2020	1,491	1,890	22	374	670	89	4,536
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	-	119	-	163	54	31
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	(16)	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
31.12.2021	1,491	1,993	22	537	724	120	4,887
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	45	-	16	161	5	227
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
გაყიდვები/ჩამოწერა	-	(225)	-	(67)	(112)	-	(404)
დაგროვილი ცვეთა	-	(540)	-	(40)	(196)	-	(776)
31.12.2022	1,491	1,273	22	446	577	125	3,934
ცვეთა და გაუფასურება							
31.12.2020		(602)	(14)	(211)	(360)	(23)	(1,210)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(68)	(1)	(66)	(87)	(4)	(226)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
გადაფასების კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
31.12.2021	-	(670)	(15)	(277)	(447)	(27)	(1,436)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(71)	(1)	(66)	(96)	(4)	(238)
დაგროვილი ცვეთა	-	540	-	40	196	-	776
გადაფასების კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
31.12.2022	-	(201)	(16)	(303)	(347)	(31)	(898)
31.12.2021	1,491	1,323	7	260	277	93	3,452
31.12.2022	1,491	1,072	6	143	230	94	3,037

სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით, რომლის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის შეადგენს 2,563 ათასი ლარს (2021 წ-2,814 ათასი ლარს).

5. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საქონელი	11,674	14,879
მზა პროდუქცია	1,925	2,080
საწვავ-საცხები მასალები	28	108
სულ მარაგები	13,627	17,067

6. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

კომპანიის მიერ 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში მომწოდებლებზე ავანსად გადარიცხული თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში შეადგენს 6,039 ათას ლარს (2021 წელს - 8,421 ათასი ლარი).

7. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9,288	3,903
დებიტორული მოთხოვნების ანარიცხი	(491)	(375)
გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი	-	1,694
მოთხოვნები წაყენებულ პრეტენზიებზე	463	474
სულ	9,260	5,696

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	501	654
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	356	224
ფული გზაში	8	11
აშშ დოლარები ადგილობრივ ბანკებში	-	199
სულ	865	1,088

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	29	276
დაქირავებულთა გადასახდელი ვალდებულებები	20	-
სულ:	49	276

11. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

<i>გრძელვადიანი/მოკლევადიანი</i>		
	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სს საქართველოს ბანკი	2,450	3,354
სულ სასესხო ვალდებულება	2,450	3,354

	<i>საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>დაფარვის ვადა</i>	<i>ვალუტა</i>	<i>2021</i>
სს საქართველოს ბანკი	8.08%	15/10/2024	USD	1,765 GEL
სს საქართველოს ბანკი	8.5%	27/12/2022	USD	1,029 GEL
სს საქართველოს ბანკი	14%	01/07/2022	GEL	560 GEL
				3,354 GEL

	<i>საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>დაფარვის ვადა</i>	<i>ვალუტა</i>	<i>2022</i>
სს საქართველოს ბანკი	8.08%	15/10/2024	USD	539 GEL
სს საქართველოს ბანკი	8.5%	01/12/2022	USD	1,351 GEL
სს საქართველოს ბანკი	14%	03/07/2024	GEL	560 GEL
				2,450 GEL

სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, კერძოდ მიწა და შენობა-ნაგებობით, რომლის ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის შეადგენს 2,563 ათასი ლარს (2021 წ-2,814 ათასი ლარს).

12. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2 ათას ლარს, რომელიც აღიარებულია დამფუძნებლების შენატანის რეალური ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

13. ამონაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
პროდუქციის რეალიზაცია	21,493	21,627
ამონაგები ბიზნესის რეალიზაციიდან	1,756	394
ამონაგები მომსახურებიდან	688	211
სულ	23,937	22,232

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(19,368)	(15,728)
სულ	(19,368)	(15,728)

15. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მომუშავე პერსონალის ხარჯი	(2,105)	(2,122)
საიჯარო ხარჯი	(367)	(436)
დებიტორული მოთხოვნების ანარიცხები	(116)	(154)
საწვავის ხარჯი	(254)	(173)
ცვეთა და ამორტიზაცია	(238)	(233)
შემენილი სერვისები	(123)	(93)
საბანკო ხარჯები	(73)	(63)
ძირ. საშუალების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(67)	(97)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(4)	(4)
ქონების გადასახადის ხარჯი	(16)	(19)
კომუნალური ხარჯები	(32)	(25)
სხვა საერთო ხარჯი	(101)	(145)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი:	(3,496)	(3,564)

16. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

ფინანსური შემოსავალი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საპროცენტო შემოსავალი *	1,701	1,643
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი	581	364
საიჯარო შემოსავალი	585	697
სულ ფინანსური შემოსავალი	2,867	2,704
ფინანსური ხარჯი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საპროცენტო ხარჯები	(247)	(200)
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ხარჯი	(1,281)	(427)
სულ ფინანსური ხარჯი	(1,528)	(627)

* პირობადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება განვადების პირობით, რომლის ამონაგებად აღიარება მოხდა 2019 წელს რეალური ღირებულებით.

17. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მეკავშირე საწარმოსგან მიღებული დივიდენდი	4,897	2,136
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შედეგი	985	-
პანდემიასთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათი	-	21
სხვა	18	56
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	5,900	2,213

18. დივიდენდი

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება მფლობელთა კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

ბანკის სესხის ხელშეკრულების პირობის მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხის გადასახდელი ნაშთის ჯამამდე ნაკლებ სიდიდემდე.

19. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ოპერაციების ნაშთები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
დებიტორული დავალიანების ნაშთი	5,745	264
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(104)	(1,122)
სულ:	5,641	(858)

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შრომის ანაზღაურება	458	327
საქონლის და მომსახურების მიწოდება	2,650	1,339
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	264	-
შემენები	2,067	1,559
სულ:	5,439	3,224

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის 29 მარტს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გაუნაწილებელი მოგებიდან გაანაწილა 5,190 ათასი ლარის დივიდენდი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ 2024 წლის 03 იანვარს სადამფუძნებლო წილები:

მესაკუთრეები

	31.12.2023
ნურეთთინ ჯენგიზ (პ/ნ TR-U N 695149), თურქეთის მოქალაქე	50 %
მიხეილ დავითაძე (პ/ნ 61002000605), საქართველოს მოქალაქე	33 %
ნუგზარ დავითაძე (12001010508), საქართველოს მოქალაქე	17 %

მმართველობითი ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს „მირა“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, წერეთლის გამზირი N 126. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 2/4-3698 და საიდენტიფიკაციო კოდი: 202 218 698.

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკუთარი საცხოვრებელი უძრავი ქონების გაქირავება, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა და რეალიზაცია, სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, წყალგაყვანილობის, გათბობის და ჰაერის კონდიციონერების სისტემის მონტაჟი. კომპანია ფლობს 2 რეგიონალურ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტს მთელს საქართველოში და ერთ ადმინისტრაციულ ოფისს თბილისში.

1. კომპანიის განვითარების გეგმები:

კომპანიის სამომავლო გეგმები საქმიანობის გაფართოება და ბაზარზე წამყვანი პოზიციის დაკავებაა.

2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:

კომპანიას არ გააჩნია სამეცნიერო კვლევები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

3. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას კომპანიაზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის კომპანიის მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია იდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა 865 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანიის მინიმუმამდე აქვს დაყვანილი სავალუტო რისკი, ვინაიდან შემოსავლების ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში და ასევე ბანკებიდან ნასესხები სახსრებიც იმავე ვალუტაშია. შესაბამისად სავალუტო რისკის დონე დაბალია და მართვადი.

4. კომპანიის სესხები:

მიღებული სესხები მოხმარდა რამოდენიმე შენობის შესყიდვას და სარემონტო სამუშაოებს. 2022 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულების ნაშთი (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შეადგენს 2,450 ათას ლარს.

5. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

6. გთხოვთ იხილოთ შპს „მირას“ დეტალური ფინანსური მაჩვენებლები 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 29 მარტი 2024 წ.

დირექტორი:

ზაზა ნიორაძე

სავალუტო რისკი

კომპანიის მინიმუმამდე აქვს დაყვანილი სავალუტო რისკი, ვინაიდან შემოსავლების ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში და ასევე ბანკებიდან ნასესხები სახსრები იმავე ვალუტაშია. შესაბამისად სავალუტო რისკის დონე დაბალია და მართვადი.

4. კომპანიის სესხები:


მიღებული სესხები მოხმარდა რამოდენიმე შენობის შესყიდვას და სარემონტო სამუშაოებს. 2022 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულების ნაშთი (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შეადგენს 2,450 ათას ლარს.

5. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

6. გთხოვთ იხილოთ შპს „მირას“ დეტალური ფინანსური მაჩვენებლები 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 29 მარტი 2024 წ.

დირექტორი:



ზაზა ნიორაძე

